

ურთიერთგაგების მემორანდუმი

დადებული

საქართველოს მთავრობას,

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ
ოპერატორსა“

და

შ.პ.ს. „ენერჯია“-ს

შორის

თბილისი

2011 წელი

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია 2011 წლის 17 მაისს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 3 მაისის №979 განკარგულების საფუძველზე,

მეორეს მხრივ, შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორაგას სახით,

და

მესამეს მხრივ, შ.პ.ს. „ენეგია“, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქ. (ნაკვეთი 4/11) (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის გაიოზ უგრელიძის მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს შემდეგზე:

1. მიზანი

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოაყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძველები და დეტალურად დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის ვადები და პირობები.

2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების სფერო

2.1. კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს წინამდებარე მემორანდუმის დანართით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) (შემდგომში „პროექტი“) საქართველოს ტერიტორიაზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმის დანართში მოცემულია კომპანიას მიერ ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგური (შემდგომში „ობიექტი“). მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია:

ა) ადგილმდებარეობა;

ბ) სიმძლავრე;

გ) განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა;

დ) მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა;

ე) წლიური გამომუშავების ოდენობა.

2.3. კომპანია უფლებამოსილია მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებით წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპანია:

ა) უზრუნველყოფს ყველა საჭირო ტექნიკური, ეკონომიკური და იურიდიული საკითხების შესწავლას, ექსპერტიზასა და ანალიზს;

ბ) უზრუნველყოფს მის მიერ შემუშავებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე ანგარიშების მთავრობისათვის მიწოდებას;

გ) უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას, სავარაუდოდ ჯამში 20 000 000 (ოცი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით;

დ) უზრუნველყოფს დანართში მოცემული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) განსაზღვრული ვადების სრული დაცვით. მათ შორის, საამისოდ საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებას;

ე) პერიოდულად – ყოველკვარტალურად – წარუდგენს მთავრობას სრულ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

3.2. კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელებას იგი უზრუნველყოფს დანართში მოცემული ობიექტისათვის განსაზღვრული ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, იურიდიული და სხვა პირობების სრული დაცვით.

3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერგიის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად; რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3.4 3.3. პუნქტის მიზნისთვის, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ელექტროსადგურისათვის თითოეული წლის ზამთრის პერიოდში 3.3. პუნქტში მითითებული 3 თვის განმავლობაში ელექტროენერგიის რეალიზაცია, შესაბამისი პირის არჩევანით, განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით, ან/და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან (ესკო) წინასწარ გაფორმებული გარანტირებული

შესყიდვის ხელშეკრულებით (სტანდარტული ფორმა, რომელიც შესაძლებელია იყოს ამ მემორანდუმის დანართი), რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 6.5 აშშ ცენტის ოდენობით;

3.5 წინამდებარე მემორანდუმის 3.3 და 3.4 პუნქტებში აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ ობიექტზე გამოქმუშავებული ელექტროენერგია არ იქნება დისპეტჩირებული ექსპორტზე და რეალიზებული იქნება 3.4 პუნქტის შესაბამისად, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალია როგორც ბაზრის (ადგილობრივი/ექსპორტი), ასევე ელექტროენერგიის მყიდველის არჩევაში და გასაყიდი ელექტროენერგიის ფასის განსაზღვრაში.

3.6 კომპანიის მიერ, ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველსაყოფად, მთავრობაზე გადაცემულია საბანკო გარანტია, 3 400 000 (სამი მილიონ ოთხასიათასი) აშშ დოლარის ოდენობით, (ასლი თან ერთვის):

3.6.1. მთავრობა უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, მოითხოვოს და მიიღოს გათვალისწინებული თანხა შემდეგ შემთხვევებში:

ა) კომპანიის მიერ ობიექტის მშენებლობის დაწყებისა ან ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადების დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში;

ბ) კომპანიის მიერ, ობიექტისათვის წინამდებარე მემორანდუმით ან მისი დანართით გათვალისწინებული სხვა პირობების დაუცველობის შემთხვევაში.

3.6.2. კომპანიის მიერ მთავრობისათვის გადაცემული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 დეკემბრამდე. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადაიწია (გაგრძელდა) ამ მემორანდუმით გათვალისწინებული, ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტიის გამცემ ბანკს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

3.7. მთავრობა 3.6.1 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის გამოთხოვის შემდგომ კომპანიასთან შეთანხმებით განსაზღვრავს ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალ ვადებს. ასეთ შემთხვევაში კომპანიის მიერ, მთავრობის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნას ახალი საბანკო გარანტია 3.6. პუნქტში მოცემული თანხის ოდენობაზე. მთავრობა უფლებამოსილია გამოიყენოს ახალი საბანკო გარანტია 3.6.1 პუნქტის შესაბამისად, კომპანიასთან შეთანხმებული ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების/დამთავრების და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალი ვადების მიხედვით. კომპანიასთან ამ პუნქტის

შესაბამისად, ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალ ვადებზე შეუთანხმებლობის ან კომპანიის მიერ ახალი საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია იმოქმედოს 3.8. პუნქტით.

3.8 კომპანიის მიერ 3.7. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების/დამთავრების და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ახალი ვადების დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, ცალმხრივად, შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, რაც განაპირობებს:

ა) შესაბამისი (კომპანიისათვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა;

ბ) კომპანიისათვის პროექტის შესაბამისი ნაწილის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

3.9. კომპანიის მიერ 3.6.2 პუნქტის დაუცველობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება რაც განაპირობებს:

ა) შესაბამისი (კომპანიისათვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა;

ბ) კომპანიისათვის პროექტის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

3.10. საქართველოს მთავრობის ვალდებულებები

ა) მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სათანადო დახმარებას ამ უკანასკნელის მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოპოვებაში;

ბ) მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად შეუწყობს ხელს კომპანიას, პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების, ლიცენზიებისა და საჭირო მიწის ნაკვეთის მისთვის გადაცემასთან.

3.11. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) იღებს ვალდებულებას კომპანიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეისყიდოს წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ 3.3. პუნქტში მითითებული თითოეული წლის 3 თვის განმავლობაში ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობა წინასწარ გაფორმებული გარანტირებული

შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 6.5 აშშ ცენტის ოდენობით;

3.12. ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6. და 3.8. პუნქტები არ მოქმედებს, თუ კომპანიის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორს-მაჟორით ან მთავრობის ან/და რომელიმე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს არამართლზომიერი ქმედებით.

4. პროექტის ხარჯები

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

5. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა

5.1. ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 20 წლის განმავლობაში.

5.2 ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყვეტილ იქნას 3.8. და 3.9 პუნქტების შესაბამისად.

6. ცვლილებების და დამატებების შეტანა

ურთიერთგაგების მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოუყენებადი ან იურიდიულად ძალადაკარგული, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში იქნება.

7. შეტყობინებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორექსონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. გამოყენებული სამართალი და დაევის განხილვა

8.1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის პირობებს განუსრულად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში ეცდებიან საკითხი მოაგვარონ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ყველა დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომლებიც დავას განიხილავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


9. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით

ალექსანდრე ხეთაგური



ხელმოწერილია:

შ.პ.ს. „ენერჯია“-ს სახელით

გაიონ უგრელიძე




ხელმოწერილია:

შ.პ.ს. „ელექტროენერგეტიკული სისტემის

კომერციული ოპერატორი“-ს სახელით

ირინა მილორავა



დანართი №1

ადგილმდებარეობა



№	სახელწოდება	რეგიონი, მდინარე
1.	ლარსი ჰესი	მცხეთა-მთიანეთი, თერგი



დანართი №2

სიმძლავრე


№		დადგენილი სიმძლავრე მგ/ტ.
1.	ლარსი პესი	20.00



დანართი №3


ინვესტიციის მოცულობა

№	სახელწოდება	ინვესტიციის სავარაუდო იდეინობა აშშ დოლარში
1.	ლარსი პეტი	20,000,000.00




მშენებლობის ნებართვის აღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა

№	სახელწოდება	მშენებლობის ნებართვის აღების ვადა	სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	ექსპლუატაციაში გაშვების ვადა
1.	ლარსი კესი	20.06.2011	01.07.2011	31.10.2013	31.12.2013

წლიური გამომუშავება

№	სახელწოდება	წლიური გამომუშავება მლნ. კვტ.სთ
1.	ღარსი ჰესი	98.00





საქართველოს მთავრობის

განკარგულება


№979 2011 წლის 3 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის ღარსის პესის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა და დაეკავშირებოდეს მემორანდუმს დაეკავშირებოდეს ხელმოწერა.

პრემიერ-მინისტრი

მინისტრი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010118868198811

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 40-51-48, 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 40-51-48, 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№10438

29 / აპრილი / 2011 წ.

საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ მარიამ ვალიშვილს

ქალბატონო მარიამ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 27 აპრილის №02/1364 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯია“-სა და შპს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის გასაფორმებელი „ურთიერთგაგების მემორანდუმის“ პროექტი და გაცნობებით, რომ მის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი მემორანდუმის მიმართ გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: „ურთიერთგაგების მემორანდუმი“-ს 3.6-3.9 მუხლების ლოგიკური გამწარტების შედეგად მიზანშეწონილია 3.7 მუხლის დებულებაში 3.6 მუხლზე არსებული მითითება დაკონკრეტდეს იმგვარად, რომ ის მოიცავდეს მხოლოდ 3.6.1 მუხლს, რამდენადაც 3.6.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის შედეგებს ადგენს სხვა - 3.9 მუხლი. შესაბამისად, 3.7 მუხლის დებულების ბოლო წინანადებიდან ამოღებული უნდა იქნეს მითითება 3.9 მუხლზე. ამასთან, ამავე 3.9 მუხლს უნდა დაემატოს წინადადება შეწყვეტის შედეგებთან დაკავშირებით, ისე როგორც ეს მოცემულია 3.8 მუხლის ა) და ბ) ქვეპუნქტებში. ასევე, 3.9 მუხლთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, არ არსებობს მისი ნაწილობრივ შეწყვეტის ფაქტობრივი შესაძლებლობა, რის გამოც ასეთი დათქმის ამ მუხლში არსებობა საფუძველს მოკლებულია და ამოღებულ უნდა იქნეს.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალიანი



შპს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
Electricity System Commercial Operator Ltd.

27.04.2011 № 01/543



საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ მ. ვაღიშვილს

ქალბატონო მარია,

სისტემის კომერციული ოპერატორმა განიხილა თქვენი 2011 წლის 27
აპრილის №02/1363 და 2011 წლის 27 აპრილის №02/1360 წერილებით
წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტები, რომელთა მიმართაც შენიშვნები არ
გაგეგანია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ირინა მილორავა



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 117911
 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10107884
 ამონაწერის მომზადების თარიღი: 08/09/2010 16:51:53

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ენერჯია
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. (ნაკვეთი 4/11)
 საიდენტიფიკაციო კოდი: 401950037
 სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 08/09/2010
 მარეგისტრირებელი ორგანო: საქარო რეესტრი
 საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01010004138, გაიოზ უგრელიძე, დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
211352187, შპს "ფერი",	30.00000000%	401950037-SH-00001
64N*0395562, , მევლუდი ბლიაძე, რუსეთის ფედერაცია,	70.00000000%	401950037-SH-00002

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102010115762 18/08/2010 13:56:30

შპს შპს "ფერი" ს/ნ 211352187

საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, N094241, 18.08.2010, მსხვილ გადამხდელთა
დეპარტამენტი

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის
უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო
სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:
<http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის
მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ENERGY Ltd

№005

20.04.2011



საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბატონ ა. ხეთაგურს

2011 წლის 20 აპრილის

№02/1294 წერილის თაობაზე

ბატონო ალექსანდრე,

2011 წლის 20 აპრილის №02/1294 წერილის შესაბამისად შ.პ.ს. „ენერჯია“ წარმოგიდგენთ „ლარსი ჰესი“-ს დადგენილ ვადაში მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად ს.ს. „თი ბი სი ბანკი“-ს მიერ გაცემულ საბანკო გარანტიას 3 400 000 (სამი მილიონ ოთხასიათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

პატივისცემით,

ბ. უბრელიძე

დირექტორი



საბანკო გარანტია №1084262-1333569

765/106-02

20.04.2011

სს"თიბისი ბანკი" მოქმედებს მისი წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და გასცემს უპირობო და გამოუხმობად გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი პირობებით:

ამასთან აღნიშნავს, რომ სს"თიბისი ბანკი" წარმოადგენს საქართველოში ლიცენზირებულ ბანკს და მის მიერ გაცემული წინამდებარე უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, 3 400 000 (სამი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, არ აღემატება ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

გარანტი: სს"თიბისი ბანკი"

მის: ქ. თბილისი კ. მარჯანიშვილის №7

პრინციპალი: შპს "ენერჯია"

ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. (ნაკვე 4/11)

ბენეფიციარი: საქართველოს მთავრობა

გარანტიის თანხა

3 400 000 (სამი მილიონ ოთხასი ათასი) აშშ დოლარი

მუხლი 1. გარანტიის გაცემის საფუძველი:

2011 წლის 10 მარტს "პრინციპალმა" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში წარადგინა განაცხადი განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი "ლარსი კესი"-ს, №56, მშენებლობის ფლობისა და ოპერირების თაობაზე (შემდგომში „განაცხადი“).

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ "პრინციპალის" განაცხადის საქართველოს მთავრობისთვის წარგდენის და ამ უკანასკნელის მიერ შესაბამის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობას, "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს" და "პრინციპალს" შორის სამი თვის ვადაში უნდა დაიდოს მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“).

აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე გარანტია გაიცა "პრინციპალის" მიერ განაცხადის პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად;

საქართველოს მთავრობას, "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და "პრინციპალს" შორის მემორანდუმის დადების უზრუნველსაყოფად და მემორანდუმის დადების შემთხვევაში, "პრინციპალის" მიერ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებები და გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევები:

ბანკის მიერ მთავრობის სასარგებლოდ გარანტიის თანხა უპირობოდ გადახრილი იქნება იმ შემთხვევაში თუ:

1. "პრინციპალი" არ ასრულებს მის მიერ წარდგენილი განაცხადის პირობებს ან უარს ამბობს განაცხადზე მთლიანად ან ნაწილობრივ;

2. "ბენეფიციარის" მიერ "ლარსი ჰესი"-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ საუკეთესო განაცხადის გამოვლენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში "პრინციპალი" საქართველოს მთავრობასთან "შ.პ.ს" "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან" არ დადო სტანდარტული ფორმით შედგენილი მემორანდუმი;

3. "პრინციპალის" მიერ ხდება მემორანდუმით ნაკისირი რომელიმე ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა, ვადაგადაცილებით შესრულება ან არაჯეროეანი შესრულება).

მუხლი 3. საგარანტიო თანხის გადახდის პირობები

"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშე "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს (გადარიცხოს თანხა ბენეფიციარის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე) გარანტიის თანხა იმ ოდენობით, რამდენსაც "ბენეფიციარი" მოითხოვს "მაქსიმალური ოდენობის" ფარგლებში;

"ბენეფიციარის" წერილობით მოთხოვნაში აღწერილი უნდა იყოს პრინციპალის მიერ დარღვეული ვალდებულება.

მუხლი 4. გარანტიის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა.

ეს გარანტია ძალაში შედის გარანტის მიერ მისი გაცემის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 პარილამდე მოთხოვნა გარანტიის თანხის გადახდის შესახებ "ბენეფიციარმა" გარანტს უნდა წარუდგინოს 2014 წლის 1 აპრილამდე.

მუხლი 5. გარანტიის ავტომატურად გაუქმება

საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდებულად ჩაითვლება:

- ა) მე-4 მუხლში მითითებული ვადის გასვლისთანავე (თუ ვადა არ იქნა გაგრძელებული);
- ბ) გარანტის მიერ საგარანტიო თანხის "ბენეფიციარისთვის" სრულად გადახდისთანავე;
- გ) მე-4 მუხლში მითითებულ ვადამდე "ბენეფიციარის" წერილობითი თანხმობის საფუძველზე, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების წინსწრებით შესრულების შემთხვევაში;

მუხლი 6. საგარანტიო თანხის შემცირება

საბანკო გარანტიის თანხის შემცირება შესაძლებელია "ბენეფიციარის" წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 7. დაგების გადაწყვეტა


საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთერთმოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ენა

წინამდებარე საბანკო გარანტია შედგენილია ქართულ ენაზე.

სს"თიბისი ბანკი"

წარმომადგენელი



ნ. გაჩეიშვილი